საქართველოს მთავრობის

დადგენილება №28

2023 წლის 23 იანვარი

ქ. თბილისი

„თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ნოემბერის №516 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ნოემბერის №516 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/11/2022, 340030000.10.003.023727) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-8 და მე-9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. დაევალოს სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს, „ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №2494 განკარგულების ფარგლებში გამოყოფილი ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მიმართოს ამ დადგენილების პირველი მუხლში აღნიშნული „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამით“ გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

მუხლი 9. „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე, ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსა და სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეთ თანხმობა, ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, 2 თვის ვადით, არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს განესაზღვროს არა უმეტეს 150 ერთეულით და დაფინანსდეს შესაბამისი პროგრამული კოდიდან, ხოლო სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს – არა უმეტეს 200 ერთეულით, „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების“ პროგრამიდან (პროგრამული კოდი: 310205) შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და ვრცელდება 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**